



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 31/ს
24/01/2023

31-21-4-202301241126



ახალციხის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ჰესის“ მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ახალციხის მუნიციპალიტეტში, მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2017 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შპს „მტკვარი ჰესის“ ახალციხის მუნიციპალიტეტში მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაიცა №64 (08.09.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. აღნიშნული დასკვნის საფუძველზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-19 ბრძანებით გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

2021 წლის 24 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ჰესის“ მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობებზე, გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-1281), რომელიც ტერიტორიაზე განვითარებული ეროზიული და მეწყრული პროცესებიდან გამომდინარე, რასაც შეიძლება და საფრთხე შეექმნა ეგხ-ის ნორმალურ რეჟიმში ექსპლუატაციისთვის, ითვალისწინებდა №4, №5, №6, №7 ანძების გადაადგილებას, ასევე, არსებული №3 საყრდენი ანძის ცვლილებას იმავე ადგილზე, მოხვევის კუთხის გათვალისწინებით. აღნიშნული

ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო ტერიტორია განლაგებულია ახალციხის მუნიციპალიტეტში, სოფლების ზივილიის, წინუბანის და საყუნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე. არსებული ელექტროგადამცემი ხაზის სიგრძე 3,276 კმ-ია, ეგზ განთავსებულია 20 საყრდენ ანძაზე. უახლოესი დასახლებული პუნქტი საპროექტო ტერიტორიიდან მდებარეობს დაახლოებით 500 მეტრში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ზემოაღნიშნული სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება N2-1281) გათვალისწინებული ცვლილებები არ განხორციელებულა, კერძოდ, კომპანიის მიერ დამატებით განხორციელდა საპროექტო ეგზ-ს დერეფნის დაზუსტება, რის შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დაგეგმილია არსებული 220 კვ ძაბვის საჰაერო ეგზ-ს ტრასის №3 საყრდენიდან №8 საყრდენამდე დერეფნის ცვლილება. ამასთან, არსებულ 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საყრდენი ანძების ადგილმდებარეობა მცირედით შეიცვალა ეგზ-ს მოწყობის პერიოდში, რაც განაპირობა არსებულმა რელიეფურმა პირობებმა და ეგზ-ს უსაფრთხოების გაზრდის მოთხოვნამ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში დამატებით მოხდა არსებული ეგზ-ს დერეფანში თითოეული საყრდენი ანძის მდებარეობის დაზუსტება.

როგორც უკვე აღინიშნა, არსებულ 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საყრდენი ანძების ადგილმდებარეობა მცირედით შეიცვალა ეგზ-ს მოწყობის პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებულ №2-№8 საყრდენებს შორის ტრასის სიგრძე შეადგენს 1102 მეტრს, ტრასის ცვლილების შედეგად არსებულთან შედარებით საპროექტო ტრასის სიგრძე იზრდება 147.48 მ-ით და იქნება 1249.48 მ. სკრინინგის განცხადების მიხედვით, უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს საყრდენი №4-დან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმართულებით, 491 მეტრის დაშორებით, ხოლო საყრდენი №7-დან სამხრეთით, 471 მეტრის დაშორებით.

საპროექტო №3 საყრდენი ანძის მოწყობა დაგეგმილია არსებული ანძიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, 11 მეტრის მოშორებით. საპროექტო ანძა განთავსდება ზღვის დონიდან 1078.13 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343264.381 Y-4619281.122).

№3 საყრდენიდან საპროექტო ეგზ-ს ტრასა გაემართება სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც დაახლოებით 147.4 მეტრში წყალგამყოფის თხემურ ნაწილში, ზღვის დონიდან 1089.5 მეტრ სიმაღლეზე, დაგეგმილია საპროექტო №4 საყრდენის განთავსება, (GPS კოორდინატები: X-343397.087 Y-4619216.811), მოცემული ანბა მოეწყობა არსებული №4 საყრდენიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, 119 მეტრის დაშორებით.

საპროექტო №4 საყრდენიდან ეგზ-ს ტრასა გრძელდება სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ და დაახლოებით 288 მეტრში განთავსდება საპროექტო №5 საყრდენი, წყალგამყოფის თხემზე, სიმაღლე ზღვის დონიდან შეადგენს 1072.84 მეტრს (GPS კოორდინატები: X343546.465 Y-4618971.105). საპროექტო საყრდენი ანბის მოწყობა დაგეგმილია არსებული №5 საყრდენიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, 308.1 მეტრის დაშორებით.

საპროექტო №5 საყრდენიდან ტრასა უხვევს სამხრეთის მიმართულებით და დაახლოებით 122 მეტრში, წყალგამყოფის დასავლეთ ფერდობის ზედა ნაწილში, ზღვის დონიდან 1076.3 მეტრ სიმაღლეზე დაგეგმილია საპროექტო №6 საყრდენი ანბის განთავსება (GPS კოორდინატები: X-343545.124 Y-4618849.336). არსებული №6 საყრდენის გადატანა დაგეგმილია აღმოსავლეთით, 247.2 მეტრის დაშორებით. პროექტით დაგეგმილ მოცემულ №5-№6 საყრდენებს შორის მონაკვეთზე საპროექტო ეგზ-ს ტრასა გაივლის 500 კვ ეგზ-ს ქვეშ. აქედან გამომდინარე, არსებულ 500 კვ ეგზ-ს გადაკვეთასთან და მიწასთან სათანადო გაბარიტის დაცვის მიზნით დაგეგმილია გრუნტის მოჭრა, რომლის მოცულობა შეადგენს 6853 მ³-ს. მოცემული ტერიტორიის ნიშნული ზღვის დონიდან შეადგენს 1076.5 მ-ს. გრუნტის მოჭრის შემდგომ საპროექტო ტერიტორიის აბსოლუტური სიმაღლე იქნება 1075 მ. ეროზიული პროცესების თავიდან ასაცილებლად მოხდება მოცემულ ფერდზე წყალსარინი სისტემის მოწყობა.

საპროექტო №6 საყრდენიდან ეგზ-ს ტრასა ეშვება ფერდიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და დაახლოებით 520 მეტრში განთავსდება ხევის მარჯვენა ფერდობის ქვედა ნაწილში საპროექტო №7 საყრდენი (GPS კოორდინატები: X-343326.108 Y-4618377.849). მოცემული ტერიტორია წარმოადგენს მცირე დახრილობის (4-5⁰) ფერდობს. საყრდენის აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან 1009.84 მ-ია. არსებული №7 საყრდენის გადატანა დაგეგმილია სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით 219.4 მეტრის დაშორებით. საპროექტო საყრდენიდან (№7) სამხრეთით, დაახლოებით 43 მეტრში მდებარეობს არსებული №8 საყრდენი, შემდეგ GPS კოორდინატებზე: X-343324.004; Y-4618335.334, სიმაღლე ზღვის დონიდან 1012.8 მ. №6-№8 საყრდენებს შორის მონაკვეთზე №7 საყრდენის მოწყობის აუცილებლობა განაპირობა არსებულ №8 საყრდენზე საპროექტო მოხვევის კუთხის ზრდამ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, არსებულ 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საყრდენების ადგილმდებარეობა მცირედით

შეიცვალა ეგზ-ს მოწყობის პერიოდში, რაც განაპირობა არსებულმა რელიეფურმა პირობებმა და ეგზ-ს უსაფრთხოების გაზრდის მოთხოვნამ.

არსებული №1 საყრდენი მდებარეობს, ზღვის დონიდან 1096.34 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343005.854 Y4619343.091). ქვ/ს „ახალციხე“-დან დაშორებულია 150-200 მ-ით. საყრდენის მოწყობის პროცესში მისი გადატანა მოხდა 0.15 მეტრით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

არსებული №2 საყრდენი განთავსებულია, ზღვის დონიდან 1086.8 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343136.363 Y- 4619305.102). არსებული №2 ანძის მოწყობის პროცესში ანძის გადატანა მოხდა 5.8 მეტრით ჩრდილოეთის მიმართულებით.

არსებული №8 საყრდენი მდებარეობს ზღვის დონიდან 1012.86 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343324.004 Y-4618335.334), საყრდენის გადატანა მოხდა 0.08 მ-ით, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით.

არსებული №9 საყრდენი მდებარეობს ზღვის დონიდან 1002.9 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343364.331 Y-4618266.319), საყრდენის გადატანა მოხდა 0.078 მ-ით.

№10 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 998.478 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-343409.503 Y-4618192.388), მშენებლობის პერიოდში ადგილმდებარეობა შეიცვალა 1.96 მ-ით.

№11 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 970.7 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-343510.825 Y-4618090.531), საყრდენის ადგილმდებარეობა მშენებლობის პერიოდში შეიცვალა 0.105 მ-ით.

№12 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 942.922 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-343697.525 Y-4617959.138), საყრდენის ადგილმდებარეობა მშენებლობის პერიოდში შეიცვალა 0.04 მ-ით, სამხრეთის მიმართულებით.

№13 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 945.4 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-343751.793 Y-4617791.590), საყრდენის ადგილმდებარეობა მოწყობის პერიოდში შეიცვალა 0.13 მ-ით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

№14 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 935.543 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-343840.207 Y-4617710.117), საყრდენის ადგილმდებარეობა განთავსების პერიოდში შეიცვალა 0.07 მ-ით, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

№15 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 925.41 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343879.827 Y-4617613.083), საყრდენის ადგილმდებარეობა მშენებლობის პერიოდში შეიცვალა 0.04 მ-ით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

№16 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 913.049 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343759.391 Y-4617449.523). საყრდენის ადგილმდებარეობა მშენებლობის პერიოდში შეიცვალა 0.04 მ-ით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

№17 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 913.49 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343525.713 Y-4617372.582), საყრდენის მოწყობის პროცესში უსაფრთხოების გაზრდის მიზნით მოხდა საყრდენის მდებარეობის ცვლილება 45.2 მეტრით იგივე დერეფანში, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

№18 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 913.378 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343292.268 Y-4617295.250), საყრდენის ადგილმდებარეობა მოწყობის პერიოდში შეიცვალა 0.2 მ-ით, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

№19 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 913.878 მ სიმაღლეზე (GPS კოორდინატები: X-343214.235 Y-4617155.366), საყრდენის ადგილმდებარეობა მოწყობის პერიოდში შეიცვალა 0.05 მ-ით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

№20 საყრდენი განთავსებულია ზღვის დონიდან 935.902 მ-ზე (GPS კოორდინატები: X-343248.014 Y-4617030.119), საყრდენის ადგილმდებარეობა მოწყობის პერიოდში ქვესადგურთან დაერთების წერტილის შესაბამისად შეიცვალა 24.3 მ-ით, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გრუნტის გზის მოწყობა დაგეგმილია მხოლოდ საპროექტო №7 ანძამდე მისასვლელად, რომელიც გამოყენებული იქნება სამშენებლო სამუშაოებისა და ექსპლუატაციის პერიოდში. მოსაწყობი გზის სიგრძე შეადგენს დაახლოებით 35 მ-ს, ხოლო გზის სიგანე იქნება 4-5 მეტრი. მოცემულ ტერიტორია თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან.

220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო უბანზე გათვალისწინებულია 220 კვ ერთჯაჭვიანი ლითონის კუთხურ-ანკერული საყრდენების მონტაჟი: 2 ერთეული Y220-3 ტიპის, 2 ერთეული Y220-1+9 ტიპის და ერთი Y220-1+5 ტიპის საყრდენი. ლითონის საყრდენების კონსტრუქციის მასალად პროექტით გათვალისწინებულია Вет3πс5 მარკის ფოლადის გამოყენება.

საპროექტო მონაკვეთზე გათვალისწინებულია AC-240/56 მარკის სადენის მონტაჟი. 220 კვ ეგზ-ს არსებული უბნების ატმოსფერული გადამაბევისაგან დაცვა ხორციელდება ASLH(S) ხხ 24 SMF(AA/ACS 74/50-10,1) მარკის 24 წვერიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი გვარლის მეშვეობით, რომელსაც გარდა მეხდაცვის ფუნქციისა გააჩნია სატელეკომუნიკაციო დანიშნულებაც.

პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე დაგეგმილი საჰაერო ეგზ-ს სამშენებლო სამუშაოები მოიცავს: საპროექტო ანძების განთავსების ადგილებში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნას, ანძების მონტაჟისთვის ფუნდამენტების მოწყობას, საყრდენების მასალების ტრანსპორტირებას, რკინაბეტონის კონსტრუქციის აწყობას, დამონტაჟებას და სადენების გაჭიმვას. პროექტით დაგეგმილია სამშენებლო სამუშაოების განხორციელება 84 კალენდარული დღის განმავლობაში. ამ პერიოდში დასაქმებული იქნება 15 ადამიანი, სამუშაოები იწარმოებს მხოლოდ დღის საათებში, 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით. საპროექტო სამუშაოებისას გამოყენებული იქნება: 3 სატრანსპორტო მანქანა; 3 სატვირთო/თვითმცლელი ; ამწე (50ტ); 2 ბულდოზერი; 2 ექსკავატორი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ეგზ-ის სამშენებლო სამუშაოების შესრულების პროცესში საჭირო იქნება მხოლოდ სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლის გამოყენება, რომელიც ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება ბუტილირებული სახით. რაც შეეხება სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვას, საპროექტო ტერიტორიაზე დროებით განთავსდება ბიოტუალეტი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო ტერიტორიაზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დაკავშირებული იქნება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობასთან. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ხანგრძლივობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ამასთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ ზემოქმედების შემცირების მიზნით გატარდება შემარბილებელი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, არასახიფათო, სამშენებლო და მცირე რაოდენობით სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. სამშენებლო მოედანზე განთავსდება კონტეინერები სხვადასხვა სახეობის ნარჩენისთვის. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება შესაბამის კონტეინერში და მოხდება მისი გატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, სამშენებლო დემონტირებული მასალები განთავსდება კომპანიის ბაღანსზე რიცხულ საწყობში, ყველა სახის სახიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე სათანადო ნებართვის მქონე კონტრაქტორს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ეგზ-ს საპროექტო საყრდენების ქვეშ საძირკვლები შერჩეულია საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე. №4, №5, №6, №7 საპროექტო საყრდენებისათვის ტრასის ცვლილების გამო ჩატარდა ახალი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, ხოლო საპროექტო №3 საყრდენისათვის აღებულ იქნა ეგზ-ს არსებულ პროექტში (გზმ) მოცემული არსებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის

მონაცემები, ვინაიდან ახალი საყრდენის მონტაჟი მოხდება მიმდებარედ, 11 მ-ის მოშორებით საკვლევ უბანზე, გამოიყოფა ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე) სგე I-თიხნარი გრუნტი; სგე II - მსხვილნატეხოვანი გრუნტი, სგე III- ძლიერ გამოფიტული და ნაპრალოვანი ქვიშაქვები და სგე IV- გამოფიტული და ნაპრალოვანი ქვიშაქვები. რაც შეეხება №3 ანძის საძირკველს, ჩატარებული საინჟინრო კვლევებიდან ჩანს, რომ მოცემულ ტერიტორიაზე გრუნტის წყალი არ ფიქსირდება, სამშენებლო თვისებების ამგებ ქანებში გამოიყოფა 3 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე). I სგე - თიხნარი (ფენა N2) II სგე- ქვიშაქვები (ფენა N3) III სგე - რიყნარი (ფენა N4). ჩატარებული კვლევებიდან ჩანს რომ, უბანზე საშიში გეოდინამიკური პროცესების ჩასახვა-განვითარების კვალი არ ფიქსირდება, უბანი მდგრადია და ანძების მშენებლობისათვის მისაღებია. საპროექტო ეგხ-ის საყრდენების ახალ ტერიტორიაზე გადატანა საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებულია 499.6 მ³ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის სამუშაოები განხორციელდება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. საპროექტო საყრდენების მოსაწყობად მოხდება გრუნტის ექსკავირება და მის მიმდებარედ დროებით განთავსება, შემდგომ გრუნტის ნაწილი გამოყენებული იქნება უკუყრილის სახით, ხოლო №5-№6 საყრდენებს შორის მალში 500 კვ ეგხ-ს გადაკვეთასთან და მიწასთან სათანადო გაბარიტის დაცვის მიზნით დაგეგმილი 6853 მ³ გრუნტის მართვა მოხდება სანაყაროზე, რომელიც წარმოადგენს გვირაბიდან გამოტანილი ქანების განთავსებისათვის გათვალისწინებული სანაყაროს ნაწილს. სანაყარო მდებარეობს ახალციხის მუნიციპალიტეტში (ს.კ 62.05.58.020), რომლის მთლიანი ფართობი შეადგენს 73 600 მ², ხოლო ელექტროგადამცემი ხაზის ტრასის ცვლილების სამშენებლო სამუშაოების დროს წარმოქმნილი ფუჭი ქანებისთვის გათვალისწინებული ფართობი - 2278.4 მ².

სკრინინგის განცხადების თანახმად, ეგხ-ს საპროექტო დერეფანი თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისგან და შესაბამისად ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მცენარეული საფარის ჭრა დაგეგმილი არ არის. საპროექტო ანძების განთავსების ტერიტორიაზე, ცხოველთა სახეობების საბინადრო ჰაბიტატები პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

საპროექტო მონაკვეთზე ელექტროგადამცემი ხაზის სიახლოვეს გადის არსებული 500 კვ ძაბვის ეგხ „ვარძია“. საპროექტო ელექტროგადამცემი ხაზის ძირითადი კუმულაციური ზემოქმედება შესაძლოა იყოს ფრინველებზე ზემოქმედების კუთხით. თუმცა სკრინინგის ანგარიშის თანახმად ამ მიმართულებით მონიტორინგის წარმოება და მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შემარბილებელი ღონისძიებების გატარება განხილულია ეგხ-ის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში, აღნიშნული შემარბილებელი ღონისძიებები განხორციელდება საპროექტო ეგხ-ის მონაკვეთზეც. ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემული პროექტით ხდება მხოლოდ ტრასის ცვლილება და არ ხდება საყრდენი ანძების დამატება. შესაბამისად მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაიგზავნა ახალციხის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტში, შპს „მტკვარი ჰესის“ მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურისა და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „მტკვარი ჰესმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-19 ბრძანებით შპს „მტკვარი ჰესის“ ახალციხის მუნიციპალიტეტში მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №64; 8.09.2017) დადგენილი პირობების დაცვა;

3. შპს „მტკვარი ჰესმა“ ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების განახლებული მონიტორინგის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც ასახული იქნება ფრინველების სიკვდილიანობაზე (მაგალითად როგორცაა ელექტროსადენებთან შეჯახებით სიკვდილიანობა), ასევე ამ კუთხით დაგეგმილი შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების საკითხები, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი პრევენციული, მათ შორის საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით;
4. ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 11 იანვრის N2-19 ბრძანებით შპს „მტკვარი ჰესის“ ახალციხის მუნიციპალიტეტში მტკვარი ჰესის 220 კვ ძაბვის ქვესადგურის და 500 კვ ძაბვის ქვესადგურ „ახალციხის“ დამაკავშირებელი 220 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №64; 8.09.2017) განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მტკვარი ჰესს“;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მტკვარი ჰესის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალციხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო